

## 1. ზოგადი დებულებანი

### 1.1. ელექტრონული სწავლება

ელექტრონული სწავლება სასწავლო აქტივობაა, რომელიც ხორციელდება ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების (შემდგომში: ისტ) გამოყენებით. ელექტრონული სწავლების კომპონენტების დანერგვა მიზნად ისახავს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში (შემდგომში: უნივერსიტეტი) ისტ-ის დანერგვას საგანმანათლებლო საქმიანობაში, სწავლების ხარისხის ამაღლებას და მისი ეფექტურობის ზრდას.

ელექტრონული სწავლების კომპონენტები შეიძლება გამოყენებულ იქნას მხოლოდ ტრადიციული სწავლების პროცესში, სასწავლო გარემოს გამდიდრების მიზნით.

### 1.2. ელექტრონული სწავლების კომპონენტი – ელექტრონული კურსი

ელექტრონული სწავლების ერთ-ერთი კომპონენტი არის ელექტრონული კურსი. ელექტრონული კურსი წარმოადგენს კურიკულუმში ისტ-ის წარმატებული ინტეგრაციის შედეგს, რაც ითვალისწინებს სხვადასხვა ელექტრონული საშუალების კურიკულუმში დანერგვას. ელექტრონული სწავლების პორტალზე არსებული კურსი ქმნის ელექტრონულ/ვირტუალურ სასწავლო გარემოს და სტუდენტს უზრუნველყოფს ელექტრონული სასწავლო მასალებითა და საშუალებებით.

ელექტრონულ კურსში გამოიყენება ინტერნეტი და/ან ისტ მოწყობილობა. ელექტრონული კურსი შედგება სასწავლო ობიექტებისგან.

უნივერსიტეტში ელექტრონული კურსი, როგორც ელექტრონული სწავლების ერთ-ერთი კომპონენტი, გამოიყენება მხოლოდ ტრადიციული სწავლების პროცესში, რაც მოიცავს პროფესორისა და სტუდენტის პირისპირ, სააუდიტორიო შეხვედრებს.

### 1.3. სასწავლო ობიექტი

მცირე მოცულობის, დასრულებული ციფრული ობიექტი, რომელსაც გააჩნია საგანმანათლებლო ღირებულება (ვებგვერდი, მულტიმედია პრეზენტაცია, ინტერაქტიული სავარჯიშო, ტესტი და სხვ.). მისი დაკავშირება შესაძლებელია უფრო დიდი მოცულობის, ონლაინ სასწავლო მასალასთან და შესაძლებელია მისი ხელახალი გამოყენება.

### 1.4. სწავლის მართვის სისტემა

სასწავლო პროგრამა, რომელიც ახდენს სასწავლო პროცესების მართვის ავტომატიზებას და პროფესორ-მასწავლებლებს ინტერნეტზე დაფუძნებული სასწავლო პროცესის დაგეგმვის, განხორციელებისა და მართვის საშუალებას აძლევს.

## **1.5. Moodle**

სწავლის მართვის უფასო, ღია კოდის სისტემა, რომელიც გამოიყენება აგრეთვე როგორც სასწავლო ობიექტების შექმნის საავტორო ინსტრუმენტი.

## **1.6. ელექტრონული სწავლების პორტალი**

ელექტრონული სწავლების პორტალი განთავსებულია უნივერსიტეტის სერვერზე და მასზე წვდომა აქვს უნივერსიტეტის ყველა თანამშრომელს და სტუდენტს. ელექტრონული სწავლების პლატფორმას წარმოადგენს ღია კოდის სწავლის მართვის სისტემა Moodle. პორტალს აქვს მისამართი და თავისუფალი რეგისტრაციის სისტემა.

## **1.7. ელექტრონული სწავლების პორტალის მომხმარებელთა იერარქია**

ელექტრონული სწავლების პორტალზე არსებობს რეგისტრირებულ მომხმარებელთა შემდეგი იერარქია:

### **1.7.1. ადმინისტრატორი.**

ადმინისტრატორი ვალდებულია:

- უზრუნველყოს ელექტრონული სწავლების პორტალის მუშაობის ხარისხი;
- რეგულარულად მოახდინოს სერვერისა და პორტალის კონფიგურაცია;
- დაამატოს მოდულები, აქტივობები, უზრუნველყოს დიზაინი;

### **1.7.2. ელექტრონული სწავლების კომპონენტის – ელექტრონული კურსის შემქმნელი.**

ელექტრონული კურსის დამატება პორტალზე ხდება აკადემიური პერსონალის/მოწვეული პროფესორის/მასწავლებლის განაცხადის საფუძველზე. ელექტრონულ კურსს ამატებს ადმინისტრატორი. განაცხადი განიხილება და მასწავლებელს ეძლევა საშუალება საკუთარი ელექტრონული კურსის შექმნაზე დაიწყოს მუშაობა.

### **1.7.3. რედაქტირების უფლების მქონე მასწავლებელი.**

ამ კატეგორიის მასწავლებელი განაცხადის საფუძველზე იღებს ელექტრონული კურსის ცარიელ გარსს, ქმნის კურსის შიგთავსს ელექტრონულ პორტალზე და ასწავლის ელექტრონული კურსის დახმარებით.

### **1.7.4. რედაქტირების უფლების არმქონე მასწავლებელი.**

ამ კატეგორიის მასწავლებელს არ გააჩნია ელექტრონული სწავლების კომპონენტებში ცვლილების შეტანის ფუნქცია. ის ასრულებს მხოლოდ ტუტორის ფუნქციას.

### **1.7.5. სტუდენტი.**

სტუდენტი სწავლების პროცესის ცენტრალური ფიგურაა. მისი რეგისტრაცია ელექტრონული სწავლების პორტალზე თავისუფალია. ელექტრონულ კურსზე სტუდენტის „დამატება“ ხდება ორგვარად:

- დამოუკიდებლად, ელექტრონული კურსის გასაღების საფუძველზე (მასწავლებელი კურსს ანიჭებს გასაღებს) ან
- მასწავლებლის მიერ, მასწავლებელი თავად „დაამატებს“ სტუდენტს ელექტრონულ კურსზე.

## **2. ელექტრონული სწავლების კომპონენტის დანერგვა – ელექტრონული კურსის შექმნა**

ელექტრონული კურსის შექმნა ხდება განაცხადის საფუძველზე.

ელექტრონული კურსი იქმნება პროექტის სახით, რაც ნიშნავს იმას, რომ იგეგმება აქტივობები, განისაზღვრება სამიზნე ჯგუფი და ვადები. კურსის შექმნის შემდეგ ხდება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ მისი შეფასება სპეციალურად შემუშავებული ინდიკატორების მიხედვით.

## **3. ელექტრონული სწავლების კომპონენტზე – ელექტრონულ კურსზე მომუშავე ჯგუფი**

ელექტრონული კურსის შექმნაში შესაძლებელია მონაწილეობდნენ: პროგრამის ხელმძღვანელი, შესაბამისი სასწავლო კურსის ავტორი/ლექტორი, დოქტორანტი, მაგისტრანტი, ფაკულტეტის და/ან უნივერსიტეტის ადმინისტრაციის შესაბამისი კომპეტენციის მქონე პირი და სხვ.

## **4. ელექტრონული სწავლების კოორდინატორები**

ელექტრონული სწავლების კომპონენტების დანერგვის პროცესს კოორდინირებას უწევს ელექტრონული სწავლების საუნივერსიტეტო კოორდინატორი საფაკულტეტო კოორდინატორებთან თანამშრომლობით.

ელექტრონული სწავლების საუნივერსიტეტო და საფაკულტეტო კოორდინატორების ფუნქციები და სამუშაოს აღწერილობა მტკიცდება უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

## **5. ელექტრონული სწავლების კომპონენტის – ელექტრონული კურსის ტექნიკური მხარე**

5.1. შრიფტი – უნიკოდი

5.2. მულტიმედიური ფორმატი:

- ვიდეო – .swf, .flv, .avi
- ფოტო – .jpg, .gif
- აუდიო – .mp3

5.3 კურსი აწყობილია სწავლის მართვის სისტემა Moodle-ში. სასწავლო მოდულების შექმნაში გამოიყენება სხვადასხვა საავტორო ინსტრუმენტები (მაგ. power point, ExeLearning, Camtasia, Hotpotatoes და სხვ.), რომელთა განთავსება ელექტრონული სწავლის მართვის სისტემაში ხდება SCORM სტანდარტით.

5.4. კურსი შეიძლება იყოს:

- ტექსტური;
- ტექსტური/ფოტო;
- მულტიმედიური/ინტერაქტიული;
- მულტიმედიური (ფოტო, ვიდეო, აუდიო);
- ინტერაქტიული (მაგ. ინტერაქტიული სავარჯიშოები);

5.5. გამოიყენება SCORM სტანდარტი.

**6. ელექტრონული სწავლების კომპონენტის – ელექტრონული კურსის შემადგენელი ელემენტები (ინსტრუქციული დიზაინი)**

6.1. ელექტრონული კურსის ინსტრუქციული დიზაინი იქმნება ინდივიდუალურად და/ან ჯგუფური მუშაობით;

6.2. სწავლებისთვის საჭირო ძირითადი/დამატებითი ლიტერატურა იმ მოცულობით არის განთავსებული ელექტრონული სწავლების პორტალზე, რომ არ დაირღვეს შესაბამისი ლიტერატურის შემქმნელთა საავტორო უფლებები;

6.3. მითითებულია ელექტრონული სასწავლო რესურსების ბმულები (მისამართები);

6.4. გამოყენებული/ინტეგრირებულია სხვადასხვა ვებსერვისები;

6.5. ელექტრონულ კურსში გამოყენებულია კომუნიკაციისა და უკუკავშირის სხვადასხვა საშუალება (ფორუმი, ტესტი, დავალება, გლოსარიუმი, “ჩეთი” და ა.შ.);

6.6. ელექტრონულ კურსში გამოყენებულია სხვადასხვა თანამშრომლობითი (კოლაბორაციული) საშუალება (კოლაბორაციული ფორუმები, კოლაბორაციული გლოსარიუმები, “ვიკი” და ა.შ.);

6.7. ელექტრონულ კურსში გამოყენებულია შეფასების მრავალფეროვანი ფორმები (ტესტი, დავალება, გაკვეთილი, ფორუმები და ა.შ.);

6.8. ელექტრონულ კურსში გამოყენებულია ფოტო, ვიდეო, აუდიო, გეოინფორმაციული მასალა;

6.9. ელექტრონულ კურსში გამოყენებულია ლექტორის მიერ შექმნილი სასწავლო ობიექტები (ტექსტი, ვიდეო, აუდიო, გეოინფორმაციული მონაცემები და სხვ.).